საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მელიქიშვილი ლიანა შალვას ასული

მელიქიშვილი ლიანა შალვას ასული (დ. 17. III. 1943, თბილისი), ეთნოლოგი, ისტ. მეცნ. დოქტორი (2001), საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის აკადემიკოსი (2023, წ.-კორ. - 2009-იდან). დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1965). 1965-2006 იყო საქართვ. მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-ტის ლაბორანტი, უმცროსი, უფროსი, წამყვანი და მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კავკასიის ეთნოლოგიის განყ-ბის გამგე, ეთნოკონფლიქტების შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელი, ამასთანავე - საქართვ. მეცნ. აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინ-ტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1990-92), ადამიანთა და ნაციონალური უმცირესობების უფლებათა დაცვის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი (1992-94), მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინ-ტში სამეცნ. ხელმძღვანელი (1995-2002), თბილ. საკრებულოს ეროვნ. უმცირესობათა კომისიის თავ-რე (2000-03), კავკასიის ხალხთა საერთაშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის სამეცნ. ხელმძღვანელი, სამეცნ. საბჭოს თავ-რე (2003-იდან), საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (2023-იდან).

მ-ის სამეცნ. ინტერესების სფეროა ეთნოპოლიტიკა, საზ-ბის განვითარებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები, ეროვნ. უმცირესობა და პოლიეთნიკური საზ-ბა, ეთნიკური ურთიერთობები, ტრადიცია და კულტურა. მ-ის თაოსნობით ეთნოლოგიურ მეცნიერებაში საფუძველი ჩაეყარა ახალ მიმართულებას - კონფლიქტოლოგიას. საქართვ. სასაზღვრო ზონის პოლიეთნიკური საზ-ბების შესწავლა მისი კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

მ. არის საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული 50 ეთნოგრ. ექსპედიციის მონაწილე და ხელმძღვანელი (1967-2017), ადგილობრივი და საერთაშ. კონფერენციების ორგანიზატორი და მონაწილე, 24 სამეცნ. გრანტის მფლობელი, 5 ეთნოგრ. ფოტოგამოფენისა და 6 ფილმის ავტორი, მრავალი სამეცნ. საზ-ბის წევრი, სხვადასხვაენოვანი (ქართული, რუს., ინგლ., გერმანული) სამეცნ. ნაშრომების, მონოგრაფიის, წიგნის, სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი.

მიღებული აქვს თსუ-ის „ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია“ (1996), სიგელები სამეცნიერო მიღწევებისათვის და ღირსების ორდენი (2001).

თხზ.: საველე მუშაობის მეთოდი კონფლიქტურ საზოგადოებაში, თბ., 2000; ეთნოგრაფია თუ ეთნოლოგია, თბ., 2000; პანკისის კრიზისი (უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები), თბ., 2002 (თანაავტ.); მრავალეთნიკური საქართველო გასულ საუკუნეში, თბ., 2004 (თანაავტ.); კონფლიქტის ანთროპოლოგია (ეთნიკური ასპექტები), თბ., 2006; ღირებულების როლი ეთნოკულტურულ პროცესებში (ქართ., რუს. და ინგლ.), თბ., 2018; ტრადიციული კულტურა და საზოგადოება, თბ., 2019; ეთნიკურ ჯგუფთა ინტეგრაცია ქვემო ქართლში (სომხები და აზერბაიჯანელები), თბ., 2021 (თანაავტ.); ტრადიციის კონცეფცია: მისი გადარჩენა, ტრანსფორმაცია და ვირტუალური სამყაროს განახლება/The Concept of Tradition: its Survival, Transformation, and Virtual World Refashioning, თბ., 2023 (თანაავტ.); Tolerance in multiethnic Georgia (Training Methodology Manual for Educators), თბ. 2009 (თანაავტ.); Language and Ethnik, Internationale tagung, Sprachlicht Konstruktion sozialer Grenzen, Europa-Universitet Viagrina, Frankfurt (Oder), 2013.